8078

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული საქართველო

სამშაბათი, 15 დეკემბერი, 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 44 (355). ფასი 30 კაპ.

ბრძოლა მხატვრული ხარისხისათვის ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა

ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი თბილისში მყოფ მწერლების მონაწილეობით.

ეს პლენუმი ერთ-ერთი სერიოზული და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმ პლენუმებსა და თათბირებს შორის, რომლებიც კი მწერალთა კავშირში გამართულა.

მწერლები პასუხისმგებლობის სრული შეგნებით მიუდგნენ ლიტერატურული პროდუქციის ხარისხისა და მხატვრული შემოქმედების კონკრეტული საკითხების განხილვას.

მწერლები საქმიანად და დაკვირვებით მსჯელობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ც. კ-ის ბიუროს იმ დადგენილების გამო, რომელიც შეიცავს დასკვნებს ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში გამოცემულ მხატვრული ნაწარმოების ხარისხზე და ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს მხატვრული პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად.

მწერალთა მუშაობისადმი საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ორგანოს გულისხმიერი დამოკიდებულების ამ ახალმა ფაქტმა, რომელმაც ცხოველი გამოხატულება ჰპოვა ზემოხსენებულ დადგენილებაში, მაღალ პრინციპულ დონეზე აიყვანა საქ. მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმის მუშაობა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს უდიდესი მნიშვნელობის დადგენილება მთელი სისწორით და სიზუსტით გამოხატავს იმ შეფასებას, რომელსაც მოწინავე კვალიფიციური მკითხველები და თვით მწერალთა საზოგადოებრიობა აძლევენ უკანასკნელი წლების ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

უდავოა, რომ ამ ნაწარმოებებს შორის ვხვდებით მრავალ ისეთ ნაწარმოებს, რომლებიც ნამდვილად ასახავენ საბჭოთა ხალხის, საბჭოთა ქვეყნის პატრიოტების დიდ მორალურ თვისებებს, გამოხატავენ საბჭოთა ხალხის უდრეკ საბრძოლო ნებისყოფას, მის მძლეთა-მძლეობას, მის გაუტეხელ მხნეობას და შეურყეველ რწმენას ვერაგ მტერზე გამარჯვებაში.

მაგრამ ამ ჭეშმარიტად მხატვრული ქმნილებების გვერდით ჩვენში გამოვიდა არა ერთი და ორი ისეთი ნაწარმოები, რომელიც ამჟღავნებს მათი ავტორების მიერ ჩვენი ცხოვრების, საბჭოთა ადამიანების სულიერი ვითარების უცოდინარობას, მხატვრული ალღოსი და ჭეშმარიტი წარმოსახვითი ნიჭის უქონლობას. ასეთ ნაწარმოებებს არ ღებულობს, იწუნებს მკითხველი, ხოლო ზოგჯერ მის სამართლიან გულისწყრომასაც იწვევს ის გაყალბება და დამახინჯება სინამდვილისა, რომელსაც მკითხველი ამ წუნდებულ ნაწარმოებებში ხვდება.

ბევრჯელ იყო თქმული და კიდევ უნდა ითქვას, რომ იმ ქვეყნის და იმ ხალხის მწერალს, რომელმაც ორი ათეული წლის მანძილზე შექმნა უმტკიცესი სოციალისტური სახელმწიფო, უძლიერესი ინდუსტრიითა და განზოგადებული სოფლის მეურნეობით, იმ ხალხის მწერლობას, რომელმაც თავისი საარაკო მხედრულ-მეომრული გმირობით და შრომითი სიმაცით მოდრიკა ველური ფაშიზმის შეჯავშნული არმია და ამით შექმნა პირობები შუა საუკუნეების რეაქციის წყვდიადისაგან მთელი კაცობრიობის გადარჩენისათვის, — ასეთი ხალხის მწერლობას არა აქვს უფლება ცუდათ წერისა, არა აქვს უფლება თავის გმირ ხალხს ნამდვილი, ჭეშმარიტად ამაღლებული მხატვრული პროდუქციის ნაცვლად, მიაწოდოს დაბალხარისხოვანი ლიტერატურა, გამოფიტული სუროგატი.

ჩვენს ლიტერატურულ მუშაობაში მუდამ ჟამს ნიმუშად და მისაბაძ მაგალითად უნდა გვქონდეს გმირი საბჭოთა ხალხის გიგანტური შემოქმედება, როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე განსაკუთრებით, სამამულო ომის პერიოდში.

თუ რა საარაკო შემოქმედებითს შესაძლებლობას იჩენს საბჭოთა ხალხი და რა რიგად სძაბავს იგი თავის ფიზიკურ და სულიერ ენერგიას, ომის წლინახევრის ისტორიას, საგმირო საქმეებით აღსავსე ისტორიას რომ დაწვრილებით არ შევეხოთ, ამას ცხადყოფს უკანასკნელი დღეების ორი დაუვიწყარი ფაქტი: პირველი—რამდენიმე თვეში მაგნიტოგორსკის მეხუთე ბრძმედის, ისეთი ბუმბერაზი ბრძმედის აგება და ამუშავება, რომლის ნაყოფიერება სჭარბობს ევროპის ყველა ცალკეული ბრძმედის ნაყოფიერებას და რომლის აგებასაც ჩვეულებრივ პირობებში წლები სჭირდება. მეორე არის სტალინგრადის დაცვის ეპოპეის ერთ-ერთი უაღრესად ამაღელვებელი ეპიზოდი, ეპიზოდი, რომელსაც ასე გადმოგვცემენ კორესპონდენტები: ერთი თვის განმავლობაში გერმანელებმა 117 იერიში მიიტანეს სტალინგრადის ერთ-ერთი უბნის დამცველ დივიზიაზე. იყო ერთი საშინელი დღე, როცა გერმანულმა ტანკებმა და ქვეითთა ჯარმა 23-ჯერ შეუტიეს მას და 23-ვე იერიში მოგერიებულ იქნა. ერთი თვის განმავლობაში ყოველ დღე, სამი დღის გამოკლებით, გერმანული ავიაცია თავს დასტრიალებდა დივიზიას. ყველაფერი ეს ხდებოდა იმ უბანზე, რომლის სიგრძეც ორ კილომეტრს არ აღემატებოდა. გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ მოდრეკდნენ დივიზიის მორალურ ძალას, მათ ეგონათ, რომ გადაწახნეს ადამიანის გულისა და ნერვების გამძლეობის ყოველგვარი საზღვარი. მაგრამ საცარია: ადამიანები არ მოიღუნნენ, ჭკუაზე არ შეშალნენ. საბჭოთა ადამიანებს არა თუ უმტყუნეთ საკუთარი გულისა და ნერვების ძალამ, არამედ, პირიქით, ისინი გახდნენ უფრო გულმტკიცენი და გულმშვიდნი—საბჭოთა ადამიანებმა გაუძლეს ზეადამიანურ დაძაბულობას.

ამ დივიზიის ერთი თვის საშინელი თავგადასავალი გამომხატველია ლეგენდარული ქალაქის—სტალინგრადის და მთელი ჩვენი სამშობლოს, მთელი საბჭოთა ხალხის ზეადამიანური სულიერი სიმტკიცისა.

უეჭველია, ის, რაც გადახდა ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს, საფუძვლად დაედება ამ გრანდიოზული ეპოპეის შესაფერი ლიტერატურის შექმნას.

უმაღლესი ხარისხის ამ ახალ ლიტერატურას შეჰქმნიან მხოლოდ და მხოლოდ ის ქადრები მწერლებისა, რომლებიც უდიდესი და უმძიმესი განსაცდელის დღეებში განუყრელად იყვნენ საბჭოთა ხალხთან, საკუთარი გულითა და ნერვებით განიცდიდნენ მის ტანჯვასა და სიხარულს, მასთან ერთად იწრთობოდნენ ომის ქარ-ცეცხლში და მისი უმძაფრესი განცდებით ამდრიდრებდნენ თავიანთ გამოცდილებას.

ეს ბეჯითად უნდა გვახსოვდეს ჩვენ, ქართველ მწერლებს, და კიდევ უფრო მჭიდროდ, კიდევ უფრო ორგანიულად დაუკავშიროთ ჩვენი შემოქმედება საბჭოთა ხალხის გრანდიოზულ ბრძოლასა და შრომას. ამის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ლიტერატურის ხარისხობრივი აღმავლობა. ჩვენ უნდა გავხდეთ უფრო მომთხოვნი და უფრო მკაცრნი ყოველივე იმისადმი, რაც ჩვენი კალმიდან გამოდის. ყოველი ნაწარმოების განხილვის დროს ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ მხოლოდ მკითხველის ინტერესით და დაუნდობლად უარვყოთ და უკუვაგდოთ ის, რაც თავის ღირსებით არ აკმაყოფილებს მკითხველის საჭიროებას, რაც ხელს არ უწყობს მის იდეურ, მორალურ და ესთეტიურ აღზრდას. ულმობელი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს ყოველგვარი ლიტერატურული სუროგატის და წუნის წინააღმდეგ. წუნი არ უნდა ეპატიოს არავის, არც დიდ და არც პატარა მწერალს, გაბედული, სერიოზული, საღი ნამდვილი ბოლშევიკური კრიტიკა ესაჭიროება დღეს ქართულ მწერლობას. ამ კრიტიკის ხმა უნდა გაისმოდეს დღეს როგორც სიტყვიერ გამოსვლებში, საჯარო დისკუსიებზე, ისე ლიტერატურული და პოლიტიკური პრესის ფურცლებზე. მხოლოდ ბოლშევიკური კრიტიკა შექმნის ჯანსაღ ატმოსფერას ჭეშმარიტი მხატვრული შემოქმედებისათვის, იმ ახალი ეტაპისათვის მწერლობაში, რომელიც სამამულო ომის პერიოდში იბადება.

საბჭოთა ლიტერატურაში ამ ახალი მაღალი ეტაპისათვის ბრძოლისაკენ, დაძაბული შემოქმედებითი მუშაობისაკენ მოგვიწოდებს ჩვენ საქართველოს ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

ქართველი საბჭოთა მწერლების ღირსების საქმეა გამუდმებული და მუყაითი მუშაობა ამ დავალების პირნათლად და სასახელოდ შესრულებისათვის.

დიდება საბჭოთა ქვეყნის სახელოვან დამცველებს

პოლიტხელი ვ. ლურსმანაშვილი
საბჭოთა კავშირის გმირი



უფროსი ლეიტენანტი ა. პირმისაშვილი
საბჭოთა კავშირის გმირი

პოლიტხელი ვ. კანკავა
საბჭოთა კავშირის გმირი

თათბირი ლიტერატურული პროდუქციის ხარისხის საკითხებზე

10 და 11 დეკემბერს მიმდინარეობდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი თბილისში მყოფ მწერალთა მონაწილეობით. დღის წესრიგში იდგა სამამულო ომის პერიოდში გამოსული ლიტერატურული პროდუქციის მხატვრული დონე და მწერალთა ამოცანები მხატვრული ლიტერატურის ხარისხის შემდგომი ამაღლების საქმეში.

მოხსენება ამ საკითხზე წაიკითხა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ს/მგ. მდივანმა ამხ. **ი. აბაშიძემ.**

— სამამულო ომის დღეებში, — სთქვა ამხ. ი. აბაშიძემ,—ქართველმა მწერლებმა ბევრი საყურადღებო, იდეურად და მხატვრულად მნიშვნელოვანი ნაწარმოები დასწერეს ჩვენი გმირული წითელი არმიის სახელოვან ბრძოლებისა და ზურგის მუშაკთა თავდადებული მუშაობის შესახებ. მარტო „ფედერაციამ“ გამოსცა 50-მდე მხატვრული წიგნი. ბევრი მათგანი უკვე პოპულარობით სარგებლობს მკითხველ მასებში. მაგრამ იმის გამო, რომ კრიტიკა თავს არ იწუხებს ახალი წიგნების საქმიან შეფასებისთვის, ქარგისაგან ცუდის გარჩევისათვის, ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა ლიტერატურულმა წუნმა. იმ საბაბით, რომ ომი მწერლისაგან მოითხოვს სწრაფ მუშაობას, სწრაფ გამოხმაურებას, ჩვენი გმირული დღეების მხატვრულ ასახვას, ზოგიერთმა მწერალმა გააზარა დაუმუშავებელი ნაწარმოების გამოქვეყნება პერიოდულ პრესაში და ცალკე წიგნებადაც. ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა ზოგიერთი ისეთი წიგნი, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებს საბჭოთა მკითხველის გაზრდილ მოთხოვნას და ინტერესს. ასეთია, მაგალითად, იაკინთო ლისაშვილის „მოთხრობები სამამულო ომზე და შრომაზე“, სიმონ წვერავას „მოთხრობები“, ა. ჭეიშვილის „მშობლიური ხმა“, კლიმენტი გოგავას „სამამულო ომის გმირები“, ანდრო ლომიძის „უძლეველი ძალა“ და სხვ. ამ წიგნების გამოცემა არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას.

მაგრამ ამ საანგარიშო პერიოდში, სამწუხაროდ, არასრულფასოვანი, მხატვრულად დაბალი დონის ნაწარმოებები დასწერეს ისეთმა მწერლებმაც, რომლებსაც უტყუარი მხატვრული ნიჭი, სამწერლო გამოცდილება და ოსტატობა მოეპოვებათ. ეს აიხსნება იმით, რომ ისინი არაგულმოდგინედ, უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ თავიანთ საქმეს და მთელი თავიანთი შესაძლებლობა არ მოახმარეს ნაწარმოების დამუშავებას. ამ უპასუხისმგებლობამ მოგვცა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც სახელს უტეხენ მათ ავტორებს. აზრს მოკლებული, გაუმართავი წინადადებები, ბუნდოვანი ფრაზები, რითმებისათვის აზრის დამახინჯება, — ასეთია ის დეფექტები, რომლებიც თან სდევენ ბევრი ჩვენი ნიჭიერი პოეტის ზოგიერთ ლექსსა და პოემას. ნიჭიერ პოეტთა ამ მარცხისათვის რედაქტორებს გარდა, უთუოდ პასუხისმგებელნი არიან ჩვენი კრიტიკოსები, რომლებიც გაურბიან ნაწარმოებთა სუსტ მხარეებზე ლაპარაკს და რომლებიც მეტწილად ეხებიან მხოლოდ ნაწარმოებთა ღირსებას. ამის გამო ვერ ასრულებენ ჩვენი ლიტერატურის შემდგომი ზრდისთვის ხელის შემწყობისა და დამხმარის როლს. ჩვენს კრიტიკოსებს მოეთხოვებათ მეტი გაბედულება, მეტი პრინციპულობა და ობიექტიურობა მხატვრული ნაწარმოების ანალიზისა და შეფასების დროს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია და მიიღო დადგენილება, სადაც დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი მხატვრული ლიტერატურის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

თავის მოხსენების დასასრულს ამხ. ი. აბაშიძემ ჩამოსთვალა ის ღონისძიებები, რომელნიც მიღებულ უნდა იქნან მხატვრული პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად.

მოხსენებამ მწერლებს საფუძველი მისცა საქმიანი და გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის. გაკრიტიკებული ავტორების დიდი ნაწილი დაეთანხმა მომხსენებელს თავიანთ ნაწარმოებთა შეფასებაში.

იმის მთავარ მიზეზად, რომ მწერალი ვერ იძლევა ჩვენი დიდი სინამდვილის სწორ მხატვრულ ასახვას, კამათში გამოსული ამხანაგები ასახელებენ ჩვენი მწერლების მხრით ფრონტისა და ზურგის არა საკმაო, ზერელე ცოდნას. მწერლების დიდ ნაწილს ჩვენი მებრძოლების გმირობაზე და ზურგის მუშაკთა თავდადებულ შრომაზე წარმოდგენა აქვთ უმთავრესად ჩვენს პრესაში დაბეჭდილი ამბების მიხედვით. მწერლების ძალიან მცირე რიცხვი იღებს უშუალო მონაწილეობას იმ დიდ მუშაობაში, რომელიც მიმდინარეობს მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. მწერლების დიდი ნაწილი საქმიანი ურთიერთობით არ არის დაკავშირებული ჩვენს კოლმეურნეობებთან, ჩვენს საწარმოებთან, ჩვენს დაწესებულებებთან, სადაც იჭედება საბჭოთა ხალხის გარდაუვალი გამარჯვება მოსისხლე მტერზე. ამით აიხსნება, რომ ბევრი მწერლის ნაწარმოებში არა სჩანს საკუთარი თვალით ნახული და საკუთარი გრძნობებით განცდილი უაღრესად დაძაბული ცხოვრება ჩვენი ქვეყნისა. აუცილებელია, რომ მწერალთა კავშირმა იზრუნოს ფრონტისა და ზურგის გმირ ადამიანებთან ჩვენი მწერლობის უფრო მეტად დაკავშირებისათვის ორგანიულად. მწერლები უფრო ხშირად უნდა ხვდებოდნენ სამამულო ომის გმირებს, უფრო ხშირად უნდა იმყოფებოდნენ წითელი არმიის ნაწილებში, ფრონტზე და ზურგში, უფრო ხშირად უნდა დადიოდნენ სოფლებში, კოლმეურნეობებში, საწარმოებში. ეს საქმიანი ურთიერთობა უეჭველად მისცემს დიდ მასალას მწერლებს და ახალი შთაბეჭდილებით გაამდიდრებს მათ გამოცდილებას. ამ რადიკალურ ღონისძიებასთან ერთად უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც წინ გადაეღობება არასრულფასოვანი, წუნდებული, დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოქვეყნების ყოველგვარ ცდას. პირველ ყოვლისა უნდა შეიქმნას პირობები ჯანსაღი, სამართლიანი, პრინციპული, კომპეტენტური კრიტიკისათვის. კრიტიკოსს, რომელიც სწორად შეაფასებს, მოურიდებლად გამოამჟღავნებს ლიტერატურულ ნაწარმოებს, მის სისუსტესა და ნაკლს, მხარს უნდა უჭერდეს და ეხმარებოდეს მთელი ლიტერატურული საზოგადოებრივობა. სამართლის მთქმელი კრიტიკოსი არ უნდა რჩებოდეს განმარტოებული, როგორც ამას ხშირად აქვს ადგილი მწერალთა წრეში. უნდა განახლდეს მხატვრული პროდუქციის კოლექტიური განხილვა და შეფასება, არც ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები არ უნდა რჩებოდეს ისე, რომ მის გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლა არ იმართებოდეს.

დამოსაცემად განზრახულ ხელთნაწერების განსახილავად, შესასწავლად და შესაფასებლად მწერალთა კავშირის პრეზიდიუმთან უნდა არსებობდეს კომპეტენტური ორგანო, რომელიც წინასწარ, გამოცემამდე, შეისწავლის და მსჯავრს დასდებს ყოველ ახალ მხატვრულ ნაწარმოებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გამომცემლობათა მიერ რედაქტორების კადრების შერჩევას. წიგნების რედაქტორებად უნდა ინიშნებოდნენ ცოდნითა. მხატვრული გემოვნებით და ამასთან პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი პირები. ლიტერატურულ გაზეთთან და ჟურნალთან არსებული სარედაქციო კოლეგიები ნამდვილად უნდა მუშაობდნენ და პასუხს აგებდნენ გაზეთისა და ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული ნაწარმოებების ხარისხისათვის. ყოველდღიურ გაზეთებში უნდა გაძლიერდეს კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება. მათ თანამშრომლებად უნდა მიიწვიონ ჩვენი ლიტერატურისა და მეცნიერების საუკეთესო ძალები. მკაცრ, მოურიდებელ, სამართლიან კრიტიკას უნდა შევეჩვიოთ ყველა მწერალი. ნაწარმოების სწორი შეფასების პრაქტიკამ ყველა მწერალი უნდა დაარწმუნოს იმაში, რომ დაბალხარისხოვანი ნაწარმოები გამოქვეყნებას ვერ ეღირსება და თუ ეღირსება იგი დაუზოგველად და მოურიდებლად იქნება გაკრიტიკებული.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა დასვეს საკითხი ახალგაზრდა მწერლების მხატვრული აღზრდისა და მათი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოვების შესახებ. ყველა მწერლისათვის აუცილებელია, რომ იგი იცნობდეს მეცნიერების ძირითად დარგებს და ერკვეოდეს მოსაზღვრე ხელოვნებათა მუშაკების—მხატვრების, მოქანდაკეების, კომპოზიტორების—შემოქმედებაში.

მწერლებმა მოითხოვეს აგრეთვე გაძლიერდეს ბრძოლა წუნისა და ხალტურის წინააღმდეგ ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: **ბ. ულუხმა, რ. გვეტაძემ, ს. თავაძემ, ა. გაწერელიამ, ა. ლომიძემ, დ. შენგელაიამ, ვ. წულუკიძემ, ი. ლისაშვილმა, ა. ჭეიშვილმა, ა. მაშაშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, კ. გამსახურდიამ, ს. ეულმა, შ. რადიანმა,** სახელგამის დირექტორმა **ნ. კიკნაძემ, გ. მდივანმა** და **შ. დადიანმა.**

თათბირის დასასრულ ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. **ი. თავაძე.**

ამხ. **ი. თავაძემ** მწერლებს გააცნო საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება ლიტერატურულ-მხატვრული პროდუქციის ხარისხის ამაღლების შესახებ და მწერლების წინაშე დასახა მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები, რომლებიც საქ. კ. პ. (ბ) ბიუროს დადგენილებიდან გამომდინარეობენ.

მწერლები სამამულო ომში

რამდენიმე დღის წინად თბილისში ჩამოვიდა ავტორი ცნობილი რომანისა „აღმოსავლეთში“, სსრკ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, ორდენოსანი მწერალი, ბრიგადის კომისარი ამხ. **პ. პავლენკო.**

15 დეკემბერს პ. პავლენკომ ქართველ მწერალთა წრეში წაიკითხა მოხსენება თემაზე—საბჭოთა მწერლების მონაწილეობა სამამულო ომში. მომხსენებელმა დამსწრეთ მოკლედ გააცნო მოსკოვის, ლენინგრადის, უფის, ტაშკენტის, ჩრდილოეთ-ოსეთის, დაღესტნისა და ბაქოს ლიტერატურულ ორგანიზაციათა და ცალკეულ მწერალთა მუშაობა სამამულო ომის უკანასკნელ თვეებში.

— სამამულო ომმა,—სთქვა ამხ. პავლენკომ,—უდიდესი ძვრები მოახდინა, როგორც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, ისე კულტურულ ცხოვრებაში. დასავლეთიდან აღმოსავლეთში უზარმაზარი სამრეწველო საწარმოების გადატანამ, ახალ რაიონებში მიწის წიაღის დამუშავებამ წარმოშვა ინდუსტრიის ახალი ბუმბერაზი კერები ციმბირსა და შუა აზიის რესპუბლიკებში. ეს მხარეები ერთი წლის განმავლობაში გარდაიქცნენ ინტენსიური სასოფლო შეურნეობის (ტექნიკური კულტურების) რაიონებად. ამ ახალმა სამრეწველო საწარმოებმა უამრავი მუშა-ხელი მიიზიდა, მეტწილად ადგილობრივ მკვიდრთაგან. ამ გარემოებამ მოითხოვა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლა-გაფართოება, რის გამოც დიდი სამოქმედო ასპარეზი გადაიშალა უზბეკი, ყაზაკი, ტაჯიკი, თურქმენი მწერლების და ხელოვნების მუშაკთა წინაშე. ახალ საფეხურზე ავიდა მათი შემოქმედებითი მუშაობაც. ამ რესპუბლიკების მწერლობისა და ხელოვნების ნაციონალურ კადრებთან თანამრომლობენ და ინტენსიური შემოქმედებით დახმარებას უწევენ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და სხვა მოძმე რესპუბლიკების ქალაქებიდან ევაკუირებული მწერლები და ხელოვანნი.

ამხ. პ. პავლენკომ დამსწრეთ უამბო მეტად საინტერესო ეპიზოდები ფრონტზე მომუშავე მწერლების პრაქტიკიდან.

შეეხო რა მოძმე ხალხების შვილთა საბრძოლო მოქმედებას ფრონტის სხვადასხვა უბანზე, ამხ. პავლენკომ აღნიშნა, თუ რა მდიდარი სამხედრო გამოცდილება, მეომრის რა დიდი კვალიფიკაცია შეიძინეს ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და კავკასიის მთიელი ხალხის შვილებმა. სხვათა შორის ამხ. პავლენკო ჩრდილოეთ-კავკასიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე შეხვედრია ამხ. ნიკო გოგოშვილს აწ უკვე საბჭოთა კავშირის გმირს, რომელიც სამამულო ომის ცეცხლში გამოიწრთო და რომელმაც თავისი სიმამაცით და სამხედრო ოსტატობით ავტორიტეტი და პოპულარობა მოიპოვა არა მარტო თავისი ნაწილის, არამედ მთელი ფრონტის მებრძოლთა შორის.

საარჩევნო კომისია მწერალთა კავშირის პრეზიდიუმთან

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა გამოჰყო სარედაქციო კომისია, რომელიც წინასწარ განიხილავს ყოველ ახალ მხატვრულ ნაწარმოებს და მისცემს თავის დასკვნას საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმს განხილული ნაწარმოების გამოცემის მიზანშეწონილობაზე. სარედაქციო კომისიაში შედიან: ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, გიორგი ლეონიძე, ბესო ჟღენტი, დემნა შენგელაია, ალ. ქუთათელი და აკაკი გაწერელია.

პროზაიკოსთა სექციამ განაახლა მუშაობა

საქ. მწერალთა კავშირის პროზაიკოსთა სექციამ (ხელმძღვანელი ამხ. ლ. ქიაჩელი) განაახლა მუშაობა.

სექციის 13 დეკემბრის სხდომაზე განხილულ იქნა აკაკი ბელიაშვილის ორი ნოველა, რომელთაგან ერთი გვიხატავს საბჭოთა ადამიანებს სამამულო ომის პერიოდში, ხოლო მეორე—თავადაზნაურული ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრებას გასული საუკუნის 90-იან წლებში.

ნოველების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ლეო ქიაჩელმა, ვ. წულუკიძემ, ბ. ჩხეიძემ, ლ. ავალიანმა და გრ. ჩიქოვანმა.

მთები დაღისტანისა

ალექსანდრე აბაშელი

ხრამში ზავი ჩაიმსხვრა
თუ ქვემეხი გავარდა?
კვამლიანმა ჰაერმა
ტყე და ბაღი დანისლა.
მწვერვალიდან მწვერვალზე
ორბმა გაინავარდა,
უყივიან დევ-გმირებს
მთები დაღისტანისა.

მზე მოყონავს ღრუბლებში
თუ ვაჟკაცის ჭრილობა?
ეს მთვარეა თუ პირი
სისხლიანის დანისა?
მწვერვალებზე ელვაა
და ორბების ყრილობა.
გასძახიან არწივებს
მთები დაღისტანისა.

მტერი მთას მოსდგომია,
მთაში სისხლი იღვრება.
დაბრუნება ხომ არ ჰსურთ
იმ უხანო ხანისა?
მთათა ზღუდე მტკიცეა,
კარი არ გაიღება, —
დარაჯებად დამდგარან
მთები დაღისტანისა.

გმირულ სტალინგრადში. მზვერავთა ასეულ ის გვარდიელები დაზვერვაზე ქალაქის გარე უბანში. (საკდესის ფოტო).

მ ა ყ ა

დემნა შენგელაია

ჩვენები ქალაქს უტევდნენ. მის უკანვე დაბრუნებას ლამობდნენ, მაგრამ ჩასაზამთრებლად შიგ ჩაბინავებულ მტერს თბილი ბუნაგის დატოვება, კვლავ მინდორ-ველად გასვლა ეძნელებოდა. სარდაფებში, ქუჩაბანდებში ჩაკირული ყოველ ადღს, ყოველ ნაბიჯს კბილით იცავდა.

იანვრის ყინვა ძვალსა სტეხდა. ბუქი და ნამქერი რძისფრად ირეოდა. ჭირხლიანი თოვლის კორიანტელი ნახანძრალ ხეივნებსა და გატრუსულ ბუჩქნარებს თეთრად ჩუმჭრავდა. მავთულხლართებში, ლავგარდანებში ქარი გულსაკლავად წოდა, აგლეჯილ თუნუქს სახურავზე მოტეხილ ფრთასავით კვნესით დაათრევდა.

სერჟანტ ბენდუქიძის ტყვიამფრქვეველთა გათვლას ქალაქიდან გასვლა ვერ მოესწრო და მოწინააღმდეგის გარემოცვაში ჩარჩენილიყო.

ოთხი დღე, რაც ფაშისტები ზედ ეხლებოდნენ, თავს აკლავდნენ, მაგრამ ბლინდაჟში ჩამსხდარ შვიდ ვაჟკაცს ძვრაც ვერ უყვეს, ბრძოლაზე ხელი ვერ აღებინეს.

მათთან ერთად მატაც იბრძოდა. მეთაურის ცოლი მატა ბახტაძე. უცნობ ქალაქის დატოვებისას ქმარი სადღაც ფრონტზე დაჰკარგოდა და საწყალ გოგონას ძუძუთა ბავშვით გაქცევა ვერ მოესწრო. გზაკვალ-არეულს შვილით თავი აქ შეეფარებინა.

რადისტი გაიოზ დავლაძე თავისივე შორეული ქვემეხების სროლას აქედან რადიოგადაცემებით ხელმძღვანელობდა.

— ცეცხლი! ცეცხლი! ცეცხლი! — და ყოველ დაძახილზე ყუმბარა მიზანში ზუსტად, აუცდენლად ხვდებოდა.

მრავალსართულიანი სახლებით შემოზღუდულ ეზოებში აფეთქებული ყუმბარები მეტის ხმით გრუხუნებდნენ. კედლები, აივნები, შუშაბანდები გვიფად ამდგარ ბათქაშის მტვერსა და კვამლში ჭრაჭუნით, ლაწანით ძირს ეშვებოდნენ. მუცელგამოფატრული ბინები თავისი ყოვლად უადგილო ოჯახური გულითადობით ქუჩაში ურცხვად, გაფოლორცებულად გაიკრიბებოდნენ.

ბლინდაჟის მოფარებულ კუთხეში ბავშვი ატირდა. მატამ ავტომატი მიწაზე დასდო და ფორთხვით შვილს მიაშურა.

პროპელერებისა და ბობლანოების ამაზრზენ ღრიანცელში შორეულად, დამაიმედებლად მოისმოდა შეტევაზე გადასულ მებრძოლთა მშობლიური ყიჟინა. ლავლაძემ სასმენები ორთავ ყურზე უფრო მჭიდროდ მიიდო და სივრცეს გასაფრებულად მიაყურა: ასეულის მეთაური იტყობინებოდა, რომ ცოტაც და ქალაქს უკანვე დაიბრუნებდნენ, რომ ქუჩები, სახლები ხელიდან ხელში გადადიოდა. სასმენები ყურთაგან ჩამოიშორა.

ერთხანს იდგა. ხმაურობის შენელებას უცდიდა.

— ცოტაც, ბიჭებო, ცოტაც და მტერს... ენაზე იკბინა. პირზე მომდგარი უწმაწური გინება კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა.

ამხანაგები გუმანს მიუხდვნენ და სიცილით ბინდიან კუთხისაკენ მიიხედეს.

— შეაგინე, ამხანაგო... როგორც გინდა.., ისე შეაგინე. გული მოიფხანე.., მე რას მერიდები! — სთქვა ღიმილით ბნელში მიჭუჭყულმა მატამ და გულში ჩაკრული პირშო გასაყუჩებლად ოდნავ გაარწია.

ბენდუქიძემ ფრონტის გუგუნს მიაყურა:

— სდეექ!—ბრძანა მჭექარედ და ავტომატებმა, ტყვიამფრქვევებმა ხმა ჩაიწყვიტეს.

ჩამოვარდნილ სიჩუმეში უფრო მკაფიოდ გაისმოდა:

— ლაპარაკობს ბლინდაჟი № ნ. გესმით, ამხანაგო მეთაურო? ბლინდაჟი კვლავ არსებობს.. კვლავ იბრძვის... ვაზნები გამოგველია... უკანასკნელ მარაგსა ვსწვაეთ.. გესმით, ამხანაგო მეთაურო?

მიწურის ბნელ კუთხეში ბავშვი ისევ გულგადაქცეულად ატირდა. იქნებ ხმაურს შეჩვეული ახლა მოულოდნელად ჩამოვარდნილმა დუმილმა შეაშფოთა?

— ეს არაფერი, ამხანაგო მეთაურო, ბლინდაჟში ერთი ბედგატიალებული ქალი მოგვეყრდა და ეს მისი ბავშვი ტირის. გესმით, ამხანაგო მეთაურო? გესმით? კვლავ განვაგრძობ: მიზანი იგივეა. კუთხე იგივე. მილაკიც იგივე. ცეცხლი!

წუთიც და ყუმბარა აღნიშნულ ადგილას აფეთქდა. მას მეორე მოჰყვა, მესამე...

— ესეც ეგრე!—სთქვა ნაგვიანევად და შუბლზე გამოყონილი ოფლი მაზარის ყოშით ხელუკუღმა გაგულისებულად შეიწმინდა.

ექვსი მებრძოლი გათვლის მეთაურს მოლოდინით მიაჩერდა. გამოსავალი თითქოს არა სჩანდა, და ბენდუქიძემ თვითონაც არ იცოდა, რა ეთქვა მათთვის. წინ წაცურებული გრანატი წელზე მოუთმენლად გაისწორა. ხმა არც მებრძოლებს ამოუღიათ. კარგად ხედავდნენ, რომ მათი სერჟანტი უკანასკნელ ვაზნებს ყოველი შემთხვევისათვის ზოგავდა.

გათვლის ნომერმა გოლიაშვილმა სროლით გახურებულ ტყვიამფრქვევის შალითიდან ამომდინარ ორთქლს ხელი მიუშვირა, მაგრამ ღამით შეჟონილი თითები უფრო დააზრა და გასათბობად იღლიებში შეიწყო:

ბავშვს დაეძინა. მისი მშობელი სელისფერი თვალებით შუბლქვემოდან ლამაზი ნადირივით შეშფოთებული იცქირებოდა.

— რა მოხდა, ძამიებო?—იკითხა მატამ მორიდებულად.—კაცები ხართ, მაგრამ მეც მინდა ვიცოდე...

— არაფერი, დაიავ!—მოუჭრა სიტყვა სერჟანტმა დასამშვიდებლად.

— რა უნდა მომხდარიყო?—დაწია სიტყვა თავის უფროსს დავლაძემაც.—არაფერი... არაფერი არ მომხდარა...

ბიბილურმა ავტომატს სავაზნე კოლოფი ხელდახელ მოხსნა და საკვირველი გულმოდგინებით დაუწყო სინჯვა.

მემიზნე რუჩეგიანმა გარეთ გაიხედა, მაგრამ საგდული იმ წუთსვე მოიხურა. ყველა მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ეს სულმოსწრაფებული მოგდება ქარისა.

— ნანაა, ნანაა!—ღიღინებდა ოდნავ გასაგონად მატა და თან მებრძოლებს გამომცდელად აკვირდებოდა.

ბლინდაჟში იდგა დამწვარი დენთის, ნედლი ტყავისა და რძის ტკბილი სუნი.

გოლიაშვილი ყუმბარების ცარიელ ყუთზე ჩამოჯდა. წელზე გრანატი შეიხსნა და საკეტი გაუსინჯა. მერე ქალს მიუბრუნდა და თავისდა მოულოდნელად საყვედურით, თითქოს მუდარითაც ამოხდა:

— ეგრე ნუ გვიცქერ! ეგრე ნუ გვიცქერ, დაიავ!

გოგონა დაიბნა, თვალები გაკვირვებით შეუმართა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

გოლიაშვილს თავისი უხიაგობისა თვითონვე შერცხვა. უხერხულობა რომ დაეფარა, გრანატს ფალია პირში მისცა და საკეტი ზედ შეაყენა.

—ხედავ, დაიავ? ხომ ხედავ, თავს იქით ძალა რომ არა გვაქვს... —მოსჩრა მოკლედ.

გოგონამ მხოლოდ ახლა გაისაზრა მთელი სისრულით, თუ რა მოელოდა ბლინდაჟს. ბავშვი მოფარებულ ადგილას მიიწვინა და წელში გაიმართა. წინ წამომლილი ბუწუწი თავშლისქვეშ მოიყოლა და დავლაძეს წყნარად, ფეხაკრეფით მიუახლოვდა. რადისტმა მიკროფონი ჩამოიშორა და თავს წარმომდგარ ქალს მაღლა აღმაცერად ახედა. ის კი კვლავ უბრად, გულის გასაგმირავად დასჩურებოდა.

— ვაზნები არ არის?—კი არ შეეკითხა, სთქვა.—გადაეცით... გადაეცით, რომ მეც თქვენთანა ვარ.. სიცოცხლე ხომ ვაჟკაცური იცოდით? გადაეცით, რომ სიკვდილიც ასეთივე ვიცით.

მალანია აქამდე ხმას არ იღებდა. მიწაზე გაშლილ ხაკისმოსასხამზე მიწოლილიყო. ფიქრთაგან ამ სიტყვებმა გამოარკვიეს. ფეხზე წამოიჭრა და მღელვარე, გრძნობათა გარეგნულად გამოხატვას უჩვევმა, დაიას ხელი გულმხურვალედ ჩამოართვა.

— დიაღ, ამხანაგო მეთაურო. არის, ამხანაგო მეთაურო, არის!.. ვიბრძოლებთ... სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ!..

საგდულს რამდენიმე ჯერი ავტომატისა მიაყარეს და ბანის საყრდენი ნედლი თავზე ტყვიებით ვეფხვის ნატორალივით აიბჯღალა. ერთი მათგანი აისხლიტა, ბენდუქიძის გრანატს მოხვდა. და ბლინდაჟი გრგვინვამ მოიცვა. ავარდა სუნი უმი ხორცისა და დამწვარი ჩვრისა. შავი კვამლი ნესტოებში უსიამოვნოდ იკბინებოდა.

— გესმით? ხომ გესმით? მოწინააღმდეგემ ცეცხლი გახსნა. სერჟანტი ბენდუქიძე აღარ არის. მებრძოლი მალანია მოკლულია... არის, ამხანაგო მეთაურო, არის! გავუძლებთ... თქვენს მოსვლამდე აქ ვიქნებით...—მოგლეჯილ კარში ახლა გრანატები შეყარეს, მაგრამ ისე უხერხულად, რომ კარებში აფეთქდნენ.

დავლაძეს ბავშვის ტირილი აღარ ესმოდა. კვამლში გახვეული ვერც ვერასა ხედავდა.

— ლაპარაკობს № ნ... ლაპარაკობს ბლინდაჟი № ნ... მაინც ვდგავართ... მტერს არ ვნებდებით.. ყველაფერი რიგზეა...

— ხომ არ დაჭრილხარ?გაწყვეტინა სიტყვა ჩურჩულით მატამ.

— წადი, ამხანაგო! შენ ბავშვს მიხედე!—შეუტია რადისტმა მკაცრად, მაგრამ მატა მაინც არ ეშვებოდა.

— მარტო ვარ... ამხანაგო.. შენთან ვიქნები.

დავლაძე მიკროფონს მიუბრუნდა.

— მესმის, ამხანაგო მეთაურო, მესმის! ეს ისე... ამხანაგს ვესაუბრებოდი...

ბლინდაჟში გრანატი კვლავ შეაგდეს, მაგრამ რადისტმა მოასწრო, ხელი ფიცხლავ დასტაცა და კვლავ გარეთ გაისროლა. ქუჩაში აფეთქებისა და კვნესის ხმა ერთად გაისმა.

— ლაპარაკობს № ნ... გესმით? მაინც ლაპარაკობს. ყველაფერი რიგზეა. არის, ამხანაგო მეთაურო, არის! მაშ ეგრე... საუბარს ვამთავრებ. არის! დამთავრდა..

სასმენები ყურთაგან მოიშორა

წამოდგა და რადიომიმღებს ავტომატის კონდახი ისე წაუშინა, თითქოს მტრის გულისჯავრს იმაზე იყრიდა. აწკრიალდნენ კატოდის ნათურათა ნამსხვრევები. გაისმა ტკაცუნი მიკროფონისა...

ჩვენებმა უბანი აიღეს.

ბლინდაჟის ნანგრევებს შორის გაიოზ დავლაძე კვამლისა და მტვრის კორიანტელში გახვეული მარტოდმარტო იდგა. ხელში ბავშვი ეჭირა, შუბლში დაჭრილს სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა და ბავშვის სახვევს წვეთწვეთად ეცემოდა.

მებრძოლებმა ბავშვი მაშინვე ჩამოართვეს.

— ამხანაგებო... ამხანაგებო..—მიწაზე უსულოდ დაეცა.

მისი სული აქამდე იმ ბავშს თუ ეჭირა.

კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა რუსულად

ა. ფეფრალსკი

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ ომის დღეებშიც ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობს. თითქმის ყოველ თვეს იგი ორ ახალ წიგნს უშვებს. 1942 წლის 10 თვის განმავლობაში მას გამოცემული აქვს 20 მხატვრული წიგნი და წლის დამლევამდე კიდევ გამოსცემს რამდენიმე ასეთ წიგნს.

ბუნებრივია, თუ მომდინარე წელსაც გამომცემლობა პირველ რიგში სცემდა ისეთ ლიტერატურას, რომელიც თემატიკურად სამამულო ომთან არის დაკავშირებული. ამ ამოცანას იგი ასრულებს ისე, რომ გვერდს არ უხვევს თავის ძირითად დანიშნულებას: მკითხველებს აწვდის ქართველი ავტორების რუსულად თარგმნილ წიგნებს. „აგიტატორის დამხმარე“ წიგნების სერიიდან გამომცემლობამ გამოსცა ქართველი პოეტების მიერ სამამულო ომის თემაზე დაწერილი ლექსების კრებული — „გამარჯვების სიმღერები“. ამ კრებულში მოთავსებული 35 ლექსი 25 პოეტისა იძლევა წარმოდგენას იმ პატრიოტულ აღტყინებაზე, რომელმაც მოიცვა ქართული საბჭოთა პოეზია ომის დღეებში. პოეტები მოგვიწოდებენ სამშობლოსთვის თავდადებული ბრძოლისაკენ, საძულველი მტრის მოსპობისა და განადგურებისაკენ. ერთი ნაწილი ლექსებისა მიძღვნილია საბჭოთა ხალხის ბრძოლის შთამგონებლისა და ხელმძღვანელის, დიდი სტალინისადმი. მრავალი ლექსი გადმოგვცემს სამამულო ომის გმირთა სასახელო საქმეებს, მოგვითხრობს საბრძოლო epizodებს, ადიდებს და ამკობს მოსკოვისა და ლენინგრადის დამცველთა გმირობას.

„ზარია ვოსტოკა“, განაგრძობდა რა ქართველი კლასიკოსების რუსულად თარგმნილ ნაწარმოებთა გამოცემას, მეტწილად ბეჭდავდა ისეთ ნაწარმოებებს, რომელთაც მკაფიო პატრიოტული ხასიათი აქვთ. ასეთია აკაკი წერეთლის ისტორიული მოთხრობა „ბაში აჩუკი“, მისივე პოემა „თორნიკე ერისთავი“ და ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“.

უცხოელ დამპყრობლებისაგან სამშობლოს დაცვის თემა, საკუთარი ხალხისათვის თავდადების, გულადობისა და ვაჟკაცობის თემა, რომელიც ასე მკვეთრად გამოსჭვივის დიდი ქართველი მწერლების ამ ქმნილებებში, დღეს განსაკუთრებით ცხოველ გამოძახილს ჰპოვებს საბჭოთა მკითხველში. ქართული კლასიკური ლიტერატურის საბრძოლოპატრიოტული ხასიათი ისევე აშკარა ხდება რუსი მკითხველისათვის ამ ნაწარმოებიდან, როგორადაც ამავე ლიტერატურის სიახლოვე მშობლიური ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასთან გამომცემლობის მიერ გამოშვებული ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებიდან და დავით კლდიაშვილის „მიქელადან“.

„ზარია ვოსტოკას“ სხვა გამოცემებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს გიორგი ლეონიძის პოემა „ბატალინი“. ბავშვობა და ყრმობა“. ბელადის ბავშვობისა და ყრმობის თემას აშუქებს ავრეთვე დ. სულიაშვილის „მოწაფეობის წლები“, რომლის ავტორიც, თუმცა ლად გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე, გვიხატავს ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილის სახეს ქ. გორის ყოფისა და იმდროინდელი სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა ცხოვრების ფართო ფონზე.

გალაქტიონ ტაბიძის ლექსების კრებული „მშობლიურო ჩემო მიწავ“ შეიცავს არა მარტო გერმანულ ფაშისტ ბარბაროსების წინააღმდეგ ჩვენი სამშობლოს მიერ წარმოებულ ბრძოლისადმი მიძღვნილ ლექსებს, არამედ ომამდე დაწერილ ლექსებსაც, რომელთაც მძაფრი ანტიფაშისტური განწყობილება ახასიათებთ.

ქართველი პროზაიკოსების მიერ სამამულო ომ.ს თემაზე დაწერილი ნაწარმოებები 6 პატარა წიგნით არის წარმოდგენილი; გამოცემულია ლეო ქიაჩელის „მამა და შვილი“, სერგო კლდიაშვილის „ოთხი მოთხრობა“, ა. ჭუთათელის „პარტიზანები“ და სხვ. ამ მოთხრობების უმრავლესობა წარმოგვისახავს ქართველი ხალხის შვილების — ვაჟებისა და ქალების მონაწილეობას სამამულო ომში. ზოგიერთი მათგანი გვიხატავს საფრონტო epizodებს, ზოგი კი მოგვითხრობს ზურგში მყოფი იმ ადამიანების პატრიოტულ საქმეებზე, რომელთაც ასულდგმულებთ სამშობლოს მტრებთან მედგრად მებრძოლი წითელი არმიისათვის დახმარების გაწევა.

ისახავს რა მთავარ მიზნად ქართველი მწერლების გამოცემას „ზ. ვ“. აქვეყნებდა და აქვეყნებს არა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებსაც უმთავრესად სამამულო ომის თემაზე. ასეთია უკრაინელი მწერლის სოფია ლევიტინას საფრონტო მოთხრობების კრებული „გულის ხმა“ და უკვე ფართოდ ცნობილი ორი პიესა—ვს. რკოს „ინეინერი სერგეევი“ და კონსტანტინე სიმონოვის „რუსი ადამიანები“.

ცნობილი მწერლის ვ. ვერეშაევის წიგნში „გამოუგონებელი მოთხრობები წარსულზე“, წინათ გამოქვეყნებულ მოთხრობებთან ერთად, შესულია ავრეთვე მოთხრობები, რომლებიც ავტორს დაწერილი აქვს უკანასკნელ ხანს თბილისში ყოფნისას.

ა. ვოინოვას წიგნი „თამარი და დავითი“ შეიცავს რამდენიმე რჩეულ თავს ამავე სახელწოდების ისტორიულ რომანიდან, რომლის გმირებსაც წარმოადგენენ თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით სოსლანი.

ასე სხვადასხვა ხასიათისა არიან მიმდინარე წელს „ზარია ვოსტოკასაგან“ გამოცემული მხატვრული ნაწარმოებები. ცხადია, ისინი სხვადასხვაგვარნი არიან თავისი ღირსებითაც. ჩვენი დღეების საბრძოლო თემებზე დაწერილ ლექსებსა და მოთხრობებს შორის არიან ისეთი ნაწარმოებებიც, რომელთა ღირებულებაც იმდენად მათი მხატვრული ღირსებით არ განისაზღვრება, რამდენადაც მათი ავტორების მისწრაფებით — გამეხმაურონ ამ თემებს, მაგრამ, ცხადია, მარტოოდენ ეს მისწრაფება როდი ჰქმარა იმისათვის, რომ ნაწარმოები გამოიცეს. გამომცემლობამ უნდა ათარგმნინოს და გამოუშვას მხოლოდ ისეთი ნაწარმოებები, რომლებმაც თავიანთი იდეური სიმაღლით და მხატვრული სისრულით მიიპყრეს ქართველი მასობრივი მკითხველის ყურადღება. გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“, როგორც მცირე საფუძველი ჩაუყარა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეს არაქართველ მკითხველთა შორის და, რომელიც ძირითადში ახერხებს თავის გამოცემათა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის შეთავსებას მათ საერთო კულტურულ ღირებულებასთან, თავისი შემდგომი მუშაობის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს ეს უდავო მოსაზრება და უფრო მკაცრად მიუდგეს რუსულად გამოსაცემ ქართულ ნაწარმოებთა ხარისხს.

ვანდა ვასილევსკაიას „ცისარტყელა“ ქართულად

ცნობილი პოლონელი მწერალი ქალის ვანდა ვასილევსკაიას მოთხრობა „ცისარტყელა“, რომელიც გაზეთ „იზვესტიას“ მიმდინარე წლის აგვისტოს და სექტემბრის ნომრებში დაიბეჭდა და რამდენიმე დღის წინად მოსკოვში 200.000 ცალად გამოიცა, ქართულად სთარგმნა პოლიო აბრამიამ. თარგმანი დაიბეჭდება ჟურნალ „მნათობის“ მიმდინარე წლის მე-10 და მე-11 ნომრებში.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო ფულუკიძე.

სახელმწიფო დაზღვევა
სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ღებულობენ ნებაყოფლობითს
დაზღვევაზე საოჯახო ქონებას

ავეჯს, ტანსაცმელს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ჰურჭელს, პროდუქტებს, წიგნებს, სურათებს, სანადირო და სასპორტო ინვენტარს და სხვ.

საოჯახო ქონება შეიძლება დაზღვეულ იქნას რაგინდ თანხაში, ხოლო არა უმეტეს მისი ღირებულებისა სახელმწიფო და კოოპერატიული ფასების მიხედვით, გაცვეთის გამოკლებით.

დაზღვევის გადასახდელები დაწესებულია 1-დან 4 მანეთამდე სადაზღვევო თანხის ყოველ 1000 მანეთზე იმისდა მიხედვით, თუ რა მასალისაგანაა კედლები და სახურავი იმ შენობისა, რომელშიაც მოთავსებულია სადაზღვევო ქონება.

მოქალაქენო, დაზღვევეთ საოჯახო ქონებას!

მცირე გადასახდელებით თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით ზარალისაგან ხანძრისა, აფეთქებისა, მიწისძვრისა, წყალდიდობისა, ნიაღვრისა და სხვა სტიქიური უბედურების შემთხვევაში.

ცნობებისათვის მიმართეთ რაი (ქალაქის) სახდაზღვევის ინსპექციებსა და დაზღვევის აგენტებს.

საქ. სსრ სახდაზღვევის სამმართველო.

სახელმწიფო დაზღვევა
სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ატარებენ მშრომელთა
სიცოცხლის კოლექტიურ დაზღვევას

დაზღვევა გაფორმდება იმ პირობით, თუ კოლექტივში მომუშავეთა თანამყოფელ რაოდენობის არა ნაკლებ 40% წერილობით განაცხადებს დაზღვევის სურვილს ერთიან სადაზღვევო თანხაში.

დაზღვევა მიიღება 500, 1000, 2000, 3000, 4000 და 5000 მანეთში თითოეულ მშრომელზე.

გადასახდელი—12 მან. წლიურად სადაზღვევო თანხის ყოველ 1000 მანეთზე.

სახდაზღვევა გასცემს სადაზღვევო თანხას დაზღვეულის სიკვდილის გამო ან უბედურ შემთხვევისაგან ინვალიდობის გამო.

დაზღვევა ტარდება მშრომელთა სამუშაო ადგილის მიხედვით.

მოვაწყოთ სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევა!

გარდა სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევისა, შეიძლება სიცოცხლის ინდივიდუალურად დაზღვევა, სიცოცხლის ინდივიდუალურად დაზღვევა შეიძლება იმ თანხაში, რომელსაც მოისურვებს მშრომელი.

ცნობებისათვის მიმართეთ რაი (ქალაქის) სახდაზღვევის ინსპექციებსა და დაზღვევის აგენტებს.

საქ. სსრ სახდაზღვევის სამმართველო.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობას
„ფედერაციას“ 1943 წლის პირველ იანვრიდან ეწოდება
გამომცემლობა
„საბჭოთა მწერალი“
ამავე გამომცემლობის სტამბას, ნაცვლად „ფედერაციის“ სტამბისა, ეწოდება „საბჭოთა მწერლის“ სტამბა
მისამართი: პლეხანოვის პროსპ., № 181, ტელეფონი 3-21-28

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ᲣᲔ 11096